ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

საპროექტო იდეების კონკურსის ფარგლებში

ხშირად დასმული კითხვები

მუნიციპალიტეტები:

1. **კითხვა:** შესაძლებელი არის თუ არა საპროექტო იდეების გამოგზავნა 2023 წლის ივნისამდე ნებისმიერ დროს?

   პასუხი: შესაძლებელია, ნებისმიერ დროს გამოგზავნილი იქნას, თვეში მაქსიმუმ ორი საპროექტო იდეა.

2. **კითხვა:** 2023 წლის ივნისამდე მუნიციპალიტეტს შეუძლია, თუ არა პირდაპირ საპროექტო იდეის წარმოდგენა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად?

   პასუხი: შესაძლებელია, პირველივე ეტაპზე მოხდეს საპროექტო იდეის გადმოგზავნა, სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად.

3. **კითხვა:** ტერიტორია/შენობა რომლის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს პროექტის ფარგლებში უნდა იყოს, თუ არა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში?

   პასუხი: ტერიტორია/შენობა, რომლის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია პროექტით უნდა წარმოადგენდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ქონებას.

4. **კითხვა**: 2023 წლის ივნისამდე შესაძლებელი არის, თუ არა მიღებული იქნას გადაწყვეტილება პროექტის დაფინანსების შესახებ?

   პასუხი: შესაძლებელია, თუ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ყველა სავალდებულო დოკუმენტის მომზადებას და წარმოდგენას.

5. **კითხვა:** თუ პროექტი არ გულისხმობს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ან შენობის აშენებას/რემონტს, ამ შემთხვევაში რა დოკუმენტები არის სავალდებულოდ წარმოსადგენი მუნიციპალიტეტის მიერ?

   პასუხი: სავალდებულო დოკუმენტების განსაზღვრა მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი იდეის შესაბამისად.

6. **კითხვა:** მუნიციპალიტეტს ერთზე მეტი საპროექტო იდეის გამოგზავნა შეუძლია თუ არა?

პასუხი: ერთ მუნიციპალიტეტს შეუძლია ერთზე მეტი საპროექტო იდეის წარმოდგენა.

7. **კითხვა:** მუნიციპალიტეტმა შეიძლება მიიღოს, თუ არა დაფინანსება ერთზე მეტ პროექტზე?

   პასუხი: შესაძლებელია, მუნიციპალიტეტმა მიიღოს დაფინანსება ერთზე მეტ პროექტზე, თუ დაფინანსებული პროექტების ჯამური ღირებულება არ სცდება, პროექტით გათვალისიწინებული დაფინანსების ზედა ზღვარს.

8. **კითხვა:** შეფასების კომისიის მიერ დაწუნებული პროექტის ხელმეორედ გამოგზავნა შესაძლებელია თუ არა?

   პასუხი: შეფასების კომისიის მიერ დაწუნებული საპროექტო იდეის ხელმეორედ გადმოგზავნა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ შეფასების კომისიის მიერ გაკეთებული შენიშვნები და კომენტარები მუნიციპალიტეტის მიერ სრულად იქნება გათვალისწინებული.

9. **კითხვა:** შესაძლებელი არის თუ არა მუნიციპალიტეტს ჰყავდეს პარტნიორი ორგანიზაცია(CSO), კერძო სექტორი ან მუნიციპალიტეტი პროექტის განხორციელების დროს?

   პასუხი: შეფასების დროს უპირატესობა მიენიჭება იმ საპროექტო იდეებს, სადაც მუნიციპალიტეტს პარტნიორად ეყოლება ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, ან კერძოს სექტორი ან მუნიციპალიტეტი.

10. **კითხვა**: შესაძლებელია თუ არა საპროექტო წინადადების მუნიციპალიტეტებში დაბრუნება ტექნიკური ხარვეზების გამოსასწორებლად?

    პასუხი: მუნიციპალიტეტს, გონივრული ვადის მითითებით, ექნება შესაძლებლობა ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების.

11. **კითხვა:** თუ მუნიციპალიტეტმა ადრე მოამზადა საპროექტო განაცხადი მაგ. რეგიონული განვითარების ფონდისთვის და მასზე უკვე მიღებული აქვს საკრებულოს მოწონება. შესაძლებელია, თუ არა ეს დადასტურება მოქმედად მივიჩნიოთ ამ პროექტის წინადადებისთვის?

    პასუხი: მუნიციპალიტეტმა, წარმოდგენილი კონკურსისთვის, უნდა უზრუნველყოს საკრებულოს მიერ საპროექტო იდეის მოწონების დოკუმენტის წარმოდგენა.

12. **კითხვა:** თუ საპროექტო განაცხადი მოიცავს კონკრეტული სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ორ ადგილას და არსებობს ექსპერტიზის დასკვნა მხოლოდ ერთზე, საკმარისი იქნება ეს ერთი დასკვნა მთლიანი განაცხადისთვის თუ არა?

    პასუხი: აღნიშნული მოცემულობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა მთლიან პროექტზე.

13. **კითხვა:** პროექტისთვის ბიუჯეტი ცალკე უნდა მომზადდეს, თუ პროექტის ტექნიკურ დოკუმენტაციაზე არსებული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი საკმარისი იქნება?

    პასუხი: იმ შემთხვევაში თუ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია მხოლოდ დაფინანსებისთვის მოთხოვნილი ხარჯები, მაშინ ცალკე ბიუჯეტი საჭირო არ იქნება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი მუნიციპალური პროექტი უნდა მოიცავდეს თანადაფინანსების ნაწილს, რაც ხარჯთაღრიცხვაში ვერ მიეთითება, აუცილებელი ხდება ცალკე ბიუჯეტის მომზადება.

14. **კითხვა:** წარმოდგენილი საპროექტო იდეა რამდენწლიანი შეიძლება იყოს (ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში)?

    პასუხი: მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების პერიოდი არ უნდა სცდებოდეს 2025 წლის 30 ივნისს.

15. **კითხვა:** შეუძლია, თუ არა მუნიციპალიტეტმა პროექტის ბიუჯეტის თანადაფინანსების ნაწილი მიუთითოს თავისი თანამშრომლის ხელფასი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე?

    პასუხი: მუნიციპალიტეტს თანადაფინანსების ნაწილში შეუძლია მიუთითოს პროექტის განხორციელებაში ჩართული თანამშრომლის შრომითი ანაზღაურება (ხელფასი).

16. **კითხვა**: პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები შეიძლება ჩაითვალოს თუ არა თანადაფინანსებად?

    პასუხი: პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი ვერ ჩაითვლება მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებად.

17. **კითხვა:** პირობითი დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მუნიციპალიტეტმა რა ვადაში უნდა წარმოადგინოს სავალდებულო დოკუმენტები?

    პასუხი: წარმოდგენილი საპროექტო იდეის შინაარსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტს მიეცემა გონივრული ვადა, სავალდებულო დოკუმენტების წარმოსადგენად.

18. **კითხვა:** თუ საპროექტო იდეაზე საკონტაქტო პირად დაინიშნება მერის შესაბამისი მოადგილე ან მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის უფროსი, ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება მერის ოფიციალური ბრძანება?

    პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში, მერის ბრძანება სავალდებულოდ წარმოსადგენი არ არის.

19. **კითხვა**: მერის ხელმოწერა საჭირო არის თუ არა საპროექტო იდეის ფორმაზე?

    პასუხი: მერის ხელმოწერა საჭირო არის საპროექტო იდეის ფორმაზე.

20. **კითხვა:** შეიძლება თუ არა, მუნიციპალიტეტში ორი ადამიანის განსაზღვრა საკონტაქტო პირად?

    პასუხი: პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელია ორი საკონტაქტო პირის განსაზღვრა.

21. **კითხვა:** 1% თანდაფინანსების შემთხვევაში საჭირო არის, თუ არა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნება იყოს გათვალისწინებული?

    პასუხი: სავალდებულო არ არის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 1% თანადაფინანსების ასიგნების გათვალისწინება ცალკე მუხლად.

22. **კითხვა:** შეუძლია თუ არა მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისთვის მიღებული თანხის დაუხარჯავი ნაშთის გამოყენება თანადაფინანსების ნაწილში?

    პასუხი: შესაძლებელია და აპლიკაციის შევსებისას უნდა მიეთითოს დაფინანსების წყაროები შესაბამის სექციაში (მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული თანხების განკარგვა მოხდეს პროექტის მიმდინარეობის ვადაში).

23. **კითხვა:** საპროექტო იდეის იდენტიფიცირების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ოქმი; მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო და ა.შ.) წარმოდგენა არის თუ არა საჭირო? თუ კი რა ფორმით?

    პასუხი: სასურველია მუნიციპალიტეტმა წარმოადგინოს პროექტის იდეის იდენტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი ოქმის ფორმით.

24. **კითხვა:** ინტერმუნიციპალური საპროექტო იდეის შემთხვევაში, საჭირო არის თუ არა მუნიციპალიტეტებიდან პარტნიორობის თანხმობის წერილების წარმოდგენა?

    პასუხი: პარტნიორებისგან თანხმობის წერილები წარმოსადგენად სავალდებულო იქნება მუნიციპალიტეტის დაკონტრაქტების ეტაპზე.

25. **კითხვა:** სავალდებულო არის თუ არა პროექტი იყოს ინტერმუნიციპალური?

    პასუხი: არ არის სავალდებულო.

26. **კითხვა:** რეგენერაციის გეგმები სავალდებულოდ წარმოსადგენი არის თუ არა, ურბანული საპროექტო იდეების შემთხვევაში?

    პასუხი: არ არის სავალდებულოდ წარმოსადგენი.

27. **კითხვა:** საპროექტო იდეის დაფინანსებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ვინ ღებულობს?

პასუხი: მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეები განხილვის ორ ეტაპს გადის, კერძოდ რეგიონული საკონსულტაციო საბჭოები განიხილავენ და ამზადებენ მოსაზრებებს/რეკომენდაციებს წარმოდგენილ საპროექტო იდეას(ებ)თან მიმართებით, ასევე CESL საპროექტო გუნდი ადგილზე, მუნიციპალიტეტებში გადაამოწმებს წარმოდგენილ საპროექტო იდეასთან დაკავშირებულ საკითხებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეტაპებისა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, GIZ-ში შექმნილი შესაბამისი შეფასების კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

28. **კითხვა:** საპროექტო იდეას რა დოკუმენტები უნდა დაერთოს თან?

პასუხი: სავალდებულო დოკუმენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საგრანტო კონკურსის დოკუმენტში[1].

29. **კითხვა:** საკრებულოს მოწონება სავალდებულოდ წარმოსადგენია საპროექტო იდეის წარდგენის საწყის ეტაპზე?

პასუხი: არ არის სავალდებულოს წარმოსადგენი.

30. **კითხვა:** სრული განაცხადის ფორმა არსებობს?

პასუხი: მხოლოდ საპროექტო იდეის ფორმის წარმოდგენა არის სავალდებულო.

31. **კითხვა:** საპროექტო იდეის შემფასებელი კომისია, მხოლოდ GIZ-ის წარმომადგენლებისგან იქნება დაკომპლექტებული?

პასუხი: საპროექტო იდეების შეფასებას მოახდენს CESL პროექტის მინიმუმ სამი წარმომადგენლისგან შემდგარი ექსპერტთა ჯგუფი.

32. **კითხვა:** მუნიციპალიტეტები, თუ საპროექტო იდეას ივნისის თვემდე გადმოაგზავნიან, მასზე დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას ივნისის თვის შემდეგ მიიღებს კომისია?

პასუხი: შემოსული საპროექტო იდეების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის წარმოდგენიდან მომდევნო ერთი თვის განმავლობაში.

33. **კითხვა:** სამოქალაქო ჩართულობად/ინიციატივად იქნება განხილული, თუ არა საპროექტო იდეის განხილვა, მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში?

პასუხი: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შესაძლოა განხილული იქნას სამოქალაქო ინიციატივის გაცნობის ერთ-ერთ პლატფორმად.

[1] https://www.mrdi.gov.ge/ka/press-center

34. **კითხვა:** თუ პროექტის დაფინანსების ზედა ჭერი არის 500 000 ლარი, რაჭის რეგიონზე გამოყოფილი არის საერთო საგრანტო მოცულობის 6.6%, რაც არ შეადგენს 500 000 ლარს. ასეთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტ(ებ)ს მაინც შეუძლია ისეთი პროექტის წარმოდგენა, რომლის ბიუჯეტიც 500 000 ლარი იქნება?

    პასუხი: აღნიშნულის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს მაინც შეუძლია პროექტის ბიუჯეტის ზედა ზღვრად განსაზღვროს 500 000 ლარი.

35. **კითხვა:** ურბანული პრიორიტეტის ფარგლებში მოაზრებული არის ნარჩენების მართვის საკითხი. ამ უკანასკნელში იგულისხმება, თუ არა პროექტის ფარგლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირების ურნების ან ნარჩენების საპრესი ტექნიკის შესყიდვა?

    პასუხი: აღნიშნული ჩანაწერი არ ითვალისიწინებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირების ურნებისა და ნარჩენების საპრესი ტექნიკის შესყიდვას.

36. **კითხვა:** ტურიზმის პრიორიტეტის ფარგლებში, მოაზრებულია მარკირების შესაძლებლობა. მარკირებაში მოიაზრებთ თუ არა კონკრეტული მარშრუტების შესწავლას?

    პასუხი: აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია ახალი მარშრუტების შესწავლა/დადგენაც.

37. **კითხვა:** რა იგულისხმება სოციალურ ინფრასტრუქტურაში?

    პასუხი: სოციალური ინფრასტრუქტურა გულისხმობს სოციალური სივრცეების განვითარებას და მოდერნიზაციას (მაგ.: საკონცერტო ან საგამოფენო სივრცეების განვითარება; ახალგაზრდული ცენტრების შექმნა; საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გაჩერებების მოწყობა).

38. **კითხვა:** ურბანული პრიორიტეტის ფარგლებში მოაზრებულია სოციალური ინფრასტრუქტურის კომპონენტი. ამ მიმართულებით, გარდა რეგიონული ცენტრებისა, შესაძლებელი იქნება, თუ არა სხვა მუნიციპალიტეტებმა შემოიტანონ საპროექტო იდეა.

    პასუხი: ურბანული პრიორიტეტის ფარგლებში, საპროექტო იდეის წარმოდგენა შეუძლიათ მხოლოდ შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ქუთაისი, ამბროლაური, ოზურგეთი, თელავი, ტყიბული, ჭიათურა, ზესტაფონი, სამტრედია. ნინო, ეს პასუხი იქნებ განვიხილოთ, ჰოვარდთან ერთად. ურბანულ ცენტრებზე კი არის გათვლილი ჩვენი ურბანული განახლების მიმართულება, მაგრამ ხომ შეიძლება კარგი საპროექტო იდეა ჰქონდეს სხვა მუნიციპალიტეტესაც,

39. **კითხვა:** DMO (Destination Management Organization)-საც შეუძლია თვეში ორი საპროექტო იდეის წარმოდგენა?

პასუხი: მუნიციპალიტეტის მსგავსად, DMO-საც შეუძლია თვეში ორი საპროექტო იდეის წარმოდგენა.

40. **კითხვა:** DMO შეიძლება იყოს გრანტის მიმღები?

    პასუხი: დიახ

41. **კითხვა:** თუ ურბანულ პრიორიტეტზე დაფინანსების ზედა ზღვარია 800 000 ლარი, ხოლო ეკონომიკურ და ტურიზმის მიმართულებებზე 500 000 ლარი. მუნიციპალიტეტისთვის რომელი თანხა იქნება ზედა ზღვარი, თუ ის გადაწყვეტს როგორც ურბანული, ასევე დანაჩენ ორ პრიორიტეტულო მიმართულებაზე საპროექტო იდეების წარმოდგენას?

    პასუხი: თუ მუნიციპალიტეტი საპროექტო იდეას წარმოადგენს ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარების მიმართულებებზე, ბიუჯეტის ზედა ზღვარი უნდა იყოს 500 000 ლარი, ხოლო თუ ურბანულ მიმართულებაზე წარმოადგენს პროექტს - 800 000 ლარი.

42. **კითხვა:** საპროექტო იდეის წარდგენის დროს საჭირო არის თუ არა პარტნიორობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა?

    პასუხი: არ არის სავალდებულო.

43. **კითხვა:** ინტერმუნიციპალური საპროექტო იდეის შემთხვევაში, რამდენი უნდა იყო ზედა ჭერი ბიუჯეტის?

    პასუხი: ინტერმუნიციპალური პროექტის შემთხვევაში საპროექტო იდეის ბიუჯეტის ზედა ზღვარი 500 000 ლარი, ხოლო ურბანულ საპროექტო იდეაზე - 800 000 ლარი.

44. **კითხვა:** შესაძლებელი არის, თუ არა კერძოს სექტორის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე/სივრცეში პროექტის განხორციელება?

    პასუხი: პროექტის განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელი არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე/სივრცეზე.

45. **კითხვა**: შეიძლება თუ არა ურბანული განახლების კომპონენტით დაფინანსდეს გზის ან ქუჩის, ან ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

    პასუხი: CESL-ის ურბანული განახლების კომპონენტი გულისხმობს ისეთი პროექტების დაფინანსებას, რომლის მიზანიც არის გამოუყენებელი ან არასათანადოდ გამოყენებული სივრცეების/ლოკაციების საზოგადოებრივი ან კომერციული ფუნქციის მქონე ადგილებად გარდაქმნა.

46. **კითხვა:** შესაძლოა თუ არა რომ მუნიციპალიტეტის ან სხვა პარტნიორის მხრიდან in Kind კონტრიბუციის (არაფულადი კონტრიბუციის, მაგალითად უფასოდ ჩატარებული საგანმანათლებლო აქტივობა) განხორციელება?

    პასუხი: გასათვალისწინებელია, რომ ასეთი კონტრიბუცია არ განიხილება ფინანსურ თანამონაწილეობად. თუმცა, in-kind კონტრიბუცია მისასალმებელია და ხშირ შემთხვევაში საჭირო იქნება, პროექტის იმ პარტნიორებისგან, რომლებიც არ არიან მუნიციპალიტეტები.

47. **კითხვა:** შესაძლებელი არის, თუ არა მუნიციპალიტეტის მხრიდან პროექტის ტექნიკურ ზედამხედველობაზე გაწეული ხარჯები განვიხილოთ თანამონაწილეობად?

    პასუხი: ზედამხედველობისთვის გაწეული ხარჯები შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ფინანსური თანამონაწილეობა.

რეგიონალური ადმინისტრაციები

1. **კითხვა:** რა დოკუმენტ(ებ)ი უნდა წარმოადგინონ რეგიონულმა საკონსულტაციო საბჭომ (RCC) საპროექტო წინადადებების განხილვის პროცესში?

   პასუხი: რეგიონული საკონსულტაციო საბჭოდან ოქმის წარმოდგენა საკმარისი იქნება, სადაც თითოეულ პროექტზე დაფიქსირდება RCC გადაწყვეტილება/რეკომენდაცია.

2. **კითხვა:** რა ფორმით იგზავნება შემოსული საპროექტო იდეები რეგიონულ საკონსულტაციო საბჭოებთან (RCC)?

   პასუხი: საპროექტო იდეები გადაგზავნა მოხდება ელექტრონული ფოსტით.

3. **კითხვა:** რეგიონული საკონსულტაციო საბჭოს(RCC) რეკომენდაცია, საპროექტო იდეებთან დაკავშირებით, სავალდებულოდ გასათვალისწინებელია თუ არა?

   პასუხი: რეგიონული საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებები განსახილველ საპროექტო იდეებთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ხასიათისაა.